პროლეტარეტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

4 ივნისი, სამშაბათი 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 128 (15949)

ᲡᲐᲥᲐᲓᲔᲜᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

„ლუნა-22“ სადგური მთვარისირგვლივ ორბიტაზეა

1974 წლის 2 ივნისს ავტომატური სადგური „ლუნა-22“ მთვარისირგვლივ ორბიტაზე გავიდა და მთვარის ხელოვნური თანამგზავრი გახდა.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ავტომატური სადგური „ლუნა-22“ გაუშვეს მიმდინარე წლის 29 მაისს. დედამიწა-მთვარის კოსმოსური ტრასით ფრენის დროს სადგურთან მოეწყო რადიოკავშირის 23 სეანსი, რომლებშიც სრულდებოდა მოძრაობის ტრაექტორიის პარამეტრების გაზომვა, სიბორტო სისტემების მუშაობის შემოწმება და ეწყობოდა კოსმოსური სივრცის მეცნიერული კვლევა.

მთვარისირგვლივი სივრცის გარკვეულ სფეროში სადგურის გაყვანის უზრუნველყოფის მიზნით 30 მაისს განხორციელდა მისი მოძრაობის ტრაექტორიის კორექცია.

მთვარისაკენ ფრენის დროს მოეწყო „ლუნა-22“ სადგურის დამუხრუჭება, რის შედეგადაც იგი გავიდა სელენოცენტრულ ორბიტაზე.

გაზომვათა მონაცემებით [illegible] სადგურის წრიული ორბიტის პარამეტრები შეადგენენ:

სიმაღლე მთვარის ზედაპირიდან — 220 კილომეტრს;

ორბიტის დახრილობა მთვარის ეკვატორის სიბრტყისადმი — 19 გრადუსსა და 35 მინუტს;

მთვარის გარშემო სადგურის ბრუნვის პერიოდი — 2 საათსა და 10 წუთს.

„ლუნა-22“ ავტომატურ სადგურზე დადგმული ხელსაწყოებისა და სისტემების შემოწმებამ დაადასტურა, რომ ისინი ნორმალურად მუშაობენ.

სამეცნიერო აპარატურა აწარმოებს გაზომვებს დასახული პროგრამით.

ინფორმაციებს იღებენ და ამუშავებენ საკომანდო-გასაზომი კომპლექსის საშუალებანი, საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები.

ᲐᲠᲥᲘᲕᲘ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ სსრ კავშირის ფარულ-საარჩევნო უფლების დღეა

უახლოესი პერიოდის უპირველესი ამოცანაა 1974 წლის გეგმის ვადამდე შესრულება, მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრება. ჩვენი ქვეყნის მშრომელები მხურვალედ გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, ყველგან გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ლოზუნგით: გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია, ნაკლები დანახარჯებით. და ეს კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ყველა ჩვენს საქმეზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან ყველა ამომრჩevლისადმი, მოქალაქისადმი.

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ

უხვი მოსავლის ოსტატი

ნუნუ ცინარიძე მოწინავე მეთამბაქოეა შუახევის რაიონის სოფელ სამოლეთში. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად მან უზრუნველყო პირადი ხუთწლიანი გეგმის სამ წელიწადში შესრულება. ამჟამად მუშაობს მეათე ხუთწლედის ანგარიშში.

მეოთხე, განმსაზღვრელ წელს მან ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდოს 400 კილოგრამი ხმელი თამბაქო. ის შრომით დღეებს მოსავლელად მიჩენილ ნაკვეთში ატარებს. ეს ამბავი მისთვის უცხო როდია: ნუნუ ცინარიძემ საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო კოლმეურნეობაში. ადრე დეუფლა თამბაქოს მოვლის აგროტექნიკას. ყოველ წელიწადს გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდა, აშით დაიმსახურა თანასოფლელთა სიყვარული და პატივისცემა.

თანასოფლელებმა ნუნუ ცინარიძე წამოაყენეს დეპუტატობის კანდიდატად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს შუახევის № 502 საარჩევნო ოლქში. საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა მოწინავე მეთამბაქოე ნუნუ ცინარიძის კანდიდატურა.

სურათზე: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი მეთამბაქოე ნუნუ ცინარიძე.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო დ. კენდალი

3 ივნისს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიური საბჭოს თანათავმჯდომარე დონალდ კენდალი. გაიმართა საუბარი, რომელშაც მეგობრული და კონსტრუქციული სულისკვეთებით ჩაიარა. საუბრის დროს განხილულ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელსაყრელი ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სავარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ვ. ს. ალხიმოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი.

საუბარი ა. ნ. კოსიგინთან

3 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მიიღო იტალიის მთელი რიგი ავტონომიური ოლქების მთავრობათა თავმჯდომარეების დელეგაცია: ლომბარდიისა — პიერო ბასეტი, ვენეტოსი — ანჯელო ტომელერი, ლიგურიისა — ჯანი დანინო, ემილია-რომანიისა — გუიდო ფანტი, ტოსკანისა — ლელიო ლაგორიო, ლაციოსი — რინალდო სანტინი, ბაზილიკატისა — ვინჩენცო ვერასტრო, რომლებიც საბჭოთა კავშირში იმყოფებიან საბჭოთა კავშირ-იტალიის მეგობრობის კვირეულის მოწყობასთან დაკავშირებით.

გამართულ მეგობრულ საუბარში აღინიშნა, კერძოდ, თუ რა როლს ასრულებენ ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის, ურთიერთნდობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში ევროპის დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და ვითარების ნორმალიზაციის ინტერესებისათვის.

საუბარში მონაწილეობდნენ ავრეთვე „იტალია-სსრ კავშირის“ საზოგადოების გენერალური მდივანი, იტალია-საბჭოთა კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე, სენატორი ჯელაზიო ადამოლი, იტალიის ელჩი სსრ კავშირში პიერო ვიანი და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვ. ივანოვი. (საკვლისი).

დიდი ბრიტანეთის ელჩი საქართველოში

რესპუბლიკის ცხოვრებას იცნობა დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში ტერენს პარვი. 3 ივნისს იგი ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, საგარეო საქმეთა მინისტრს შ. დ. კიკნაძეს.

შ. დ. კიკნაძესა და ტ. პარვის შორის ჯათმართა მეგობრული საუბარი. ელჩმა მადლობა გადაუხადა საქართველოს სსრ თავრობას გაწეული მასპინძლობისათვის, იმისათვის, რომ შესაძლებლობა მისცეს გასცნობოდა რესპუბლიკას.

საუბარს ესწრებოდნენ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე და სსრ კავშირში დიდ ბრიტანეთის საელჩოს მეორე მდივანი რ. ნეში. (სპეციალური).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

აჯამაღლებთ ნარმოების ეფექტიანობას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმი, რომელმაც განიხილა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ძირითადი ამოცანები“ [illegible] ეკონომიკის განვითარების ესოდენ დიდი ზრუნვისათვის.

ამ ისტორიული დადგენილების განხორციელებისათვის აქედანვე უნდა შევქმნათ მტკიცე საფუძველი. უკვე ყველასათვის ცნობილია, რომ ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში მრეწველობის განვითარების ტემპი ჩამორჩა ხუთწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებს. მრეწველობის ყველა დარგის გადაუდებელი ამოცანაა ხუთწლედის დარჩენილ დროში დაფაროს ეს ჩამორჩენა.

პირველ ხანებში სახარბიელო მდგომარეობა არც თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხანაში იყო. ქარხნის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, მთელი კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან სათანადო დასკვნები გააკეთეს და მდგომარეობა რადიკალურად გაუმჯობესდა. ქარხნის კოლექტივმა დახსლია სიძნელეები და გეგმებს ასრულებს ყველა მაჩვენებლის მიხედვით, მაგრამ ესეც არ არის საკმარისი, წინ დიდი ამოცანებია.

ამ ისტორიული დადგენილებით გათვალისწინებულია ელმავალსამშენებელ ქარხანამ 1977 წლისათვის მიაღწიოს საპროექტო სიმძლავრეს, უნდა ჩატარდეს ქარხნის რეკონსტრუქცია, ორგანიზებულ უნდა იქნას მუდმივი დენის პერსპექტიული ელმავლების დაპროექტება და მშენებლობა. ეს თბილისელ ელმავალმშენებელთა დიდი და საპატიო საქმეა.

გ. ჩაღუნელი,

თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის ზენიკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გეგმაც, მოგებაც

თბილისი. შეუფერხებლად მოვამზადოთ მოსახლეობა მცენარეული და ცხოველური ცხიმებით — ამ დევიზით გავაჩაღეთ წინასაარჩევნო სოციალისტური შეჯიბრება. შედეგებიც კარგი გვაქვს. პროდუქციის რეალიზაციის ხუთი თვის დავალება 101,5 პროცენტით გავანადღეთ, საერთო პროდუქციის გამოშვებას 353 ათასი მანეთით გადავაჭარბეთ, მნიშვნელოვნად შევამცირეთ პროდუქციის თვითღირებულება და მივიღეთ 65 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ეს რედაქციას აცნობა ცხიმკომბინატის დირექტორმა **შ. ჟღენიძემ.**

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲦᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲗᲙᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ. ვ. ცირეკიძე). ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა (დირექტორი ვ. პატარაიძე), რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ღირსეულად შეხვედრისათვის ემზადება, ახალი შრომითი წარმატება მოიპოვა. ხუთი თვის სახელმწიფო დავალება ცხრა დღით ადრე შეასრულა და სამშობლოს ვეგმის გადამეტებით 41 ტონა „შავი ოქრო“ მისცა.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში რესპუბლიკის განათლების ორგანოებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური საზოგადოებრიობისადმი აქტიური დახმარებისათვის და დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპეციალური სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი. 1974 წლის 3 ივნისი.

ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 3 ივნისის ბრძანებულებით ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭათ **ურნალ „სკოლა და ცხოვრების“** რედაქციისა და სტამბის მუშაკებს:

გრიგოლ ირაკლის-ძე **თავაძეს** — პასუხისმგებელ მდივანს.

გრიგოლ სპირიდონის-ძე **პავლიაშვილს** — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის ლინოტიპისტს.

სირინოზა ვიქტორის ასულ **ხაჟვარელიძეს** — ტექნიკურ რედაქტორს.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია გაიხსნება დღეს, 4 ივნისს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება დღეს, 4 ივნისს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

პარტიის დავალებას შევასრულებთ!
პარტიის განაწესს განვახორციელებთ!

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲭᲐᲚᲙᲘᲡ, ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲙᲘᲡ, ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ჩვენ გადავწყვიტეთ ოთხი პარტიული კომიტეტის — პარტიის წალკის, ბოგდანოვკის, ახალქალაქისა და ახალციხის რაიკომების პლენუმების ანგარიში დაგვიწყო იმით, თუ რით მთავრდება ამ დღეებში ყველგან მიმდინარე პარტიული კომიტეტების პლენუმები პარტიულ-სამეურნეო აქტივის მონაწილეობით, იგრეთვე რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პარტიული აქტივის კრებები. ამ პლენუმებსა და აქტივის კრებებზე კომუნისტები განიხილავენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის შედეგებს და მისი გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანებს, რომლებიც ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გადაწყვიტონ, რათა შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

პლენუმები და პარტაქტივის კრებები კი მთავრდება იმით, რომ კომუნისტები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსათვის გასაგზავნად იღებენ წერილს ტექსტს, რომელშიც საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელის სახელით გამოთქვამენ ღრმა მადლიერებასა და გულითად მადლობას პარტიისა და მთავრობის უდიდესი, ჭეშმარიტად ლენინური ზრუნვისათვის რესპუბლიკის საწარმოო ძალების აღმავლობაზე, მისი ეკონომიური პოტენციალის ზრდაზე, ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე.

ეს წერილი მთავრდება სიტყვებით:

— პარტიის დავალებას შევასრულებთ!

— პარტიის განაწესს განვახორციელებთ!

და ამ სიტყვებში გამოთქმულია რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის ნება, მათი მზადყოფნა, მათი ურყევი გადაწყვეტილება, ნაყოფიერ პრაქტიკული საქმეებით, დიადი გამარჯვებებით შეასრულონ ხორცი ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური და სოციალური განვითარების გრანდიოზული პროგრამას, რომელიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

პარტიის რაიონული კომიტეტების პლენუმებმა წალკაში, ბოგდანოვკაში, ახალქალაქსა და ახალციხეში ჩაიარა მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, კომუნისტების გაზრდილი აქტივობის ნიშნით. მათ ცხადყვეს პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკური სიმწიფე, მათი უნარი — გადაწყვიტონ დიდმნიშვნელოვანი და რთული სოციალურ-ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემები.

პლენუმებსა და პარტაქტივის კრებებზე სუფევდა ერთსულოვნებისა და შეკავშირების ვითარება. მათ გვიჩვენეს, რომ კომუნისტები და უპარტიოები, რომლებიც რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმაფლობისათვის ბრძოლაში გამოდიან ერთიანი, ურღვევი ბლოკით, მზად არიან [illegible] ცვალებადობა [illegible] ეროვნული [illegible] ეკონომიკა [illegible] ეროვნული [illegible] ეკონომიკა [illegible] ეროვნული [illegible] ეკონომიკ

პარტიის დავალებას შევასრულებთ! პარტიის განაწესს განვახორციელებთ!

ეროვნული არქივი

ლასასრული

კომიტეტების პლენუმებზე. კომუნისტები ლაპარაკობდნენ ღიაზე, თუ როგორ განამტკიცებს კიდევ უფრო მტკიცედ ამ რაიონების ეკონომიკას, აამაღლებს კულტურას, შეიცვლის მათ სახეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების გეგმით დასახული ღონისძიებანი. თავისი შრომით ადამიანი კიდევ უფრო გარდაქმნის ამ მთის მხარეს, და მისი აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრეები ადამიანის სამსახურში ჩადგება.

სამხრეთი საქართველო... წალკა, მესხეთ-ჯავახეთი... წარსულში ეს იყო მეფის ციხეთის განაპირა მხარე, მივიწყებული, მიგდებული, ყრუ კუთხე. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ საქართველოში ამ მხარეს მოუტანა ახალი ცხოვრება, და სიბნელიდან და უმეცრებიდან გამოიყვანა ადამიანები.

მაგრამ მხარის საწარმოო ძალები შეიძლებოდა კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განვითარებულიყო, ამ რაიონების ეკონომიკის განმტკიცებას მეტი ყურადღება რომ დათმობოდა.

მაგალითად, წალკის რაიონს „ყაყაიი რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის 1,6 პროცენტი. აქ თავმოყრილია საქართველოს მოსახლეობის 1,1 პროცენტი და ჩვენში არსებული შრომითი რესურსების 1,5 პროცენტი. მიუხედავად ამისა, ეს რაიონი იძლევა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მხოლოდ 0,6 პროცენტსა და რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის 0,1 პროცენტს. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონებში.

პირდაპირ ვიტყვით: ამ რაიონებს მაინცდამაინც დიდი ყურადღებითა და კეთილი განწყობილებით როდი ეკიდებოდნენ ყოველთვის რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები, და ამაში, ისე როგორც ბევრ სხვა რამეშიც, მკაფიოდ ვლინდებოდა წინათ არსებული სუბიექტივიზმი, ვოლუნტარიზმი და პროტექციონიზმიც კი ყველაზე მაღალ დონეზე.

ყოველივე ეს შეიძლებოდა არ ყოფილიყო, რომ სწორად, ჯეროვნად მოკიდებოდნენ საქმეს, რომ რაციონალურად გაენაწილებინათ ფინანსური სახსრები, გონივრულად გამოეყენებინათ ამ რაიონების ბუნებრივი სიმდიდრეები და შინაგანი რესურსები.

აქ ხომ დიდი შესაძლებლობანი, დიდი რეზერვები იფარება. წალკის რაიონი, მაგალითად, აწარმოებს რესპუბლიკაში დამზადებული კარტოფილის 30 პროცენტზე მეტს, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონის ტბები მდიდარია თევზით. აქ ზეგნის ვრცელ ველებზე განლაგებულია შესანიშნავი ზაფხულის საძოვრები, აქ ბევრი ყველ-კარაქის ქარხანაა. თავისი ხილითაა განთქმული ახალციხის რაიონი.

ახალციხის რაიონში იღებენ აქატსა და დიატომიტს. ამასთან საქართველოს ამ ნაწილის შთიანი რაიონები მდიდარია ისეთი სასარგებლო წიაღისეულის ბუდობებით, როგორიცაა პერლიტები, ობსიდიანი, ვულკანური წიდები, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ და რომელთა მარაგი ათეულმილიონობით კუბურ მეტრს უდრის.

სამხრეთ საქართველოს ეკონომიური განვითარების დიდი შესაძლებლობანი დაისახა ამასთან დაკავშირებით, რომ აქ შეიქმნა ფიდალიუნი ისეთი მსხვილი სამრეწველო საწარმოებისა, როგორიცაა თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანი“, თბილისის № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკა.

აჭამაღლოთ სამრეწველო პოტენციალი

პარტიის წალკის, ბოგდანოვკის, ახალქალაქისა და ახალციხის რაიკომების პლენუმების მუშაობაში დიდი ადგილი დაიკავა ამ რაიონების ეკონომიური პოტენციალის ამაღლების, მრეწველობის განვითარების საკითხებმა. პლენუმების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მთიანი რაიონების ხელშემწყობ ბუნებრივ პირობებსა და ეკონომიურ წინამძღვარებს სრულად არ იყენებენ დაჩქარებული სამეურნეო განვითარებისა და შრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

იმ რაიონების მოსახლეობა, სადაც პარტიის რაიკომების პლენუმები მიმდინარეობდა, ძირითადად დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში — თავთავიანი სასშემოდგომო მარცვლეულის, კარტოფილის, საკვები კულტურების მოვლა-მოყვანასა და მეცხოველეობაში. მრეწველობა კი უმთავრესად წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოებით, ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მცირე სამძლავრის საწარმოები, საშენ მასალათა საწარმოები გათვალისწინებულია მხოლოდ ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

ამასთან, მთის რაიონებს დიდი პოტენციური შესაძლებლობანი აქვთ სამრეწველო წარმოების განვითარებისათვის. მხედველობაში გვაქვს სასარგებლო წიაღისეული, რომლებზეზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ.

რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით გარდაიქმნება ამ რაიონების არა მარტო სამრეწველო, არამედ სოციალური სახეც. ახალი სამრეწველო ობიექტების შექმნა, როგორიცაა დიატომიტის ქარხანა, შუქ-პირგადასაღები მოწყობილობის ქარხანა, რკინა-ბეტონის ნაწარმის ქარხანა, ავეჯისა და სამკერვალო ფაბრიკები, კვების მრეწველობის საწარმოები, არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქცია ხელს შეუწყობს მთის რაიონების მოსახლეობის სამეიდროვის გადიდების პრობლემის გადაჭრას, ადგილებზე შრომითი რესურსების შენარჩუნებას. იმისათვის, რომ წარმატებით შევასრულოთ დასახული ამოცანები, ბევრი ძალ-ღონე და ენერგია უნდა გამოვიყენოთ, დავრაზმოთ ყველა შრომითი კოლექტივი მათ გადასაწყვეტად.

მაგრამ, მომავალს რომ გავცქერით, ხაზგასმით აღინიშნა პლენუმებზე, უნდა გადაეწყვეტოთ დღევანდელი დღის ამოცანები. წარმატებით შევასრულოთ საგეგმო დავალებანი, ყოველნაირად გამოვიყენოთ წარმოების არსებული რეზერვები. ამის საშუალებას იძლევა წარმოების მთელი რიგი დარგების ჩამორჩენა. მაგალითად, თუ უკეთ მოვაწყობთ წარმოების ახალციხის „ელექტროძრავის“ ქარხანაში, შეიძლება მნიშვნელოვნად გავზარდოთ პროდუქციის გამოშვება და დამატებით სამუშაოზე მივიღოთ ასზე მეტი კაცი.

მთლიანად წალკის რაიონის მრეწველობა, რომლის ბაზაა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავება, ასრულებს პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის გეგმას, მაგრამ მისი მოცულობა წლითიწლობით სტაბილური რჩება. საკმარისი არ არის აგრეთვე ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონების მთელ რიგ საწარმოთა წარმოების ეფექტიანობა. ყოველივე ეს, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმზე აღინიშნა, არის საწარმოო სიმძლავრეთა არასაკმარისი გამოყენების, საწარმოთა სუსტი ტექნიკური აღჭურვის, პარტიული, სახელმწიფო, შრომისა და საწარმოო დისციპლინის დაბალი დონის შედეგი. შრომითს კოლექტივებში ყველგან როდია შექმნილი მაღალი პრინციპულობის, ურთიერთმომთხოვნელობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარება.

პლენუმის მონაწილეებმა თქვეს, რომ წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარებაში, შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში დაგვეხმარება რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა გამოცდილება, აგრეთვე სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გამოცდილება, რომელიც ამ ბოლო დროს შეიძინეს თბილისის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ, ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ, ქუთაისის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ. ამაზე ილაპარაკეს წალკის მეთაური ყველ-კარაქის ქარხნის ოსტატმა ა. კარაგაშევმა, „წყალმშენის“ № 7 ტრესტის სამშენებლოს უფროსმა ა. ხავთასმა, ახალციხის აქატოდიატომიტის სამმართველოს უფროსმა ა. კუპრაძემ, № 16 მოძრავი მექანიზებული კოლონის პარტორგანიზაციის მდივანმა დ. მელიჯოვმა.

განვახორციელოთ პარტიის აგრარული პოლიტიკა!

პარტიული კომიტეტების პლენუმებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების პრობლემებს, მათ ილაპარაკეს სეზონურ ნაკლოვანებებზე მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებაში, დასახეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის გზები ამ მიმართულებით. მესაბამისად, რომლებიც განსაზღვრულია ალმა-ათაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სტყვაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად შარშან ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მომარაგება ბოსტნეულითა და კარტოფილით შესამჩნევად გაუმჯობესდა. მაგრამ ამ კულტურების მოსავლიანობისა და მთლიანი მოსავლის საქმეში ჯერ კიდევ არის სეზონიური ნაკლოვანებები. მიზეზი ბევრია. მათ შორის მთავარი ის არის, რომ ამ დარგებში მუშაობა წარმოებს ძველებურად, მამაპაპური მეთოდებით.

წალკის რაიონი წამყვანია კარტოფილის წარმოებაში, ამაზე, თუ როგორ მუშაობენ რაიონის მშრომელები, ბევრად არის დამოკიდებული თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის მომარაგება კარტოფილით. ამასთან, უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, ერთი წლის გარდა, კარტოფილის მოსავლიანობა ჰექტარზე მერყეობდა 56-93 ცენტნერის ფარგლებში. ამის შედეგად 1965 წელს კარტოფილის მთლიანმა მოსავალმა შეადგინა მხოლოდ 31 ათას ტონაზე ცოტა მეტი, შარშან კი 29,5 ათას ტონამდე შემცირდა. ახალქალაქის რაიონმა მარტო 1973 წელს სახელმწიფოს დააკლო 10 ათასი ტონა კარტოფილი, ამაზე შეშფოთებითა და დიდი წუხილით ილაპარაკეს ახალქალაქის რაიონის ვაჩიანის საბჭოთა მეურნეობის მემინდვრეთა ბრიგადის ბრიგადირმა ვ. კაზარიანმა, წალკის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. მაცუკატოვმა, ახალქალაქის რაიონის სოფელ დილისკის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ა. მოსოიანმა.

ჯეროვანი უურადღება არ ეთმობოდა კარტოფილის თესვა-მოყვანას ბოგდანოვკის რაიონშიც: იფიქვეოდა თესვის, მოსავლის დამუშავების, აღების ვადები. აქედან გამომდინარეობს დანაკლისი და დანაკარგები. 1971 წელს საშუალოდ ჰექტარზე მოწეული იყო 39 ცენტნერი კარტოფილი, შარშან — 64 ცენტნერი. კარტოფილის ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელი ახალციხის რაიონიც, თანაც აქაური კარტოფილი გემრიელია. მიუხედავად ამისა, რომ შარშან 1971 წელთან შედარებით კარტოფილის ნათესვები გაიზარდა 40 პროცენტით, მოსავლიანობა კი 53 პროცენტით, რაიონი მაინც ვერ ასრულებს წარმოებისა და შესყიდვის გეგმებს. შარშან სახელმწიფოსათვის კარტოფილის მიყიდვის გეგმა შესრულდა 63 პროცენტით. ვერ შესრულდა შესყიდვის გეგმები ხუთწლედის პირველ ორ წელიწადშიც. სულ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე რაიონმა სახელმწიფოს 11.500 ტონა კარტოფილი დააკლო.

ახალციხის რაიონის სოფელ ხეოთის მეკარტოფილემ ლ. ბეკაურამ და ბოგდანოვკის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ვ. გარსლიანმა ილაპარაკეს იმაზე, თუ რა ღონისძიებანი ხორციელდება ადგილებზე ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხარჯზე კარტოფილის წარმოების ზრდის უზრუნველსაყოფად.

პლენუმზე დიდი ყურადღება დაეთმო ახალციხის რაიონში მემინდვრეობის შემდგომი აღმავლობის საკითხებს.

პლენუმებზე მეტად მწვავედ დაისვა საკითხი მეცხოველეობის — ჩვენი სოფლის მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილი და რთული უბნის მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ წალკის, ბოგდანოვკის, ახალქალაქისა და ახალციხის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ მეცხოველეობის განვითარების ძირითადი პრობლემების გადაჭრას — სანაშენე საქმისა და ვეტერინარული მომსახურების, ფერმების კომპლექსური მექანიზაციის გაუმჯობესებას, მტკიცე საკვებ ბაზის შექმნას, გადაჭრას ეს ამოცანები კომპეტენტურად, მეცნიერულ საფუძველზე, ერთმანეთთან დაკავშირებით.

მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ამ უმნიშვნელოვანეს დარგში სერიოზული ჩამორჩენის აღმოფხვრა.

პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით წალკის რაიონმა შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის მიყიდვის გეგმა. ამავე დროს ხორცის შესყიდვის გეგმა ვერ შეასრულა ითხმა კოლმეურნეობამ, რძის შესყიდვისა — ათმა, ანუ მთი საერთო რაოდენობის ნახევარმა. რაიონი წლითიწლობით ვერ ასრულებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმებს.

ბოგდანოვკის რაიონში მხოლოდ ორი საბჭოთა მეურნეობაა, შარშან მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმა მათ მხოლოდ 73 პროცენტით შეასრულეს. ზოოვეტერინარულ ღონისძიებათა სუსტი შესრულების გამო შემცირდა ახალქალაქის რაიონში პირუტყვის სულადობა, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ეს დიდ ზარალს იწვევს. შარშან ამ ზარალმა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეადგინა 1.300 ათასი მანეთი. ახალციხის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის მიყიდვის სამი წლის გეგმები. მაგრამ დიდ შეშფოთებას იწვევს საკვები ბაზის მდგომარეობა. აქ მიზეზებული და უაორესად არარაციონალურად იყენებენ ბუნებრივ სათიბებსა და საძოვრებს. ასეთივე მდგომარეობაა სხვა რაიონებშიც.

ყოველივე ამის შესახებ ილაპარაკეს წალკის საბჭოთა მეურნეობის მწყვეტელმა ა. კაბასაკალოვმა, ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ოროლოგის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის კონკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ა. სუბორუკოვმა, ახალქალაქის რაიონის ზაკვის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანმა დ. პალიანმა, ახალციხის რაიონის წყალთბილის სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ ო. კარაპეტიანმა და სხვებმა.

პლენუმების მონაწილეებმა ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს პირუტყვის მოვლა, მისი ვეტერინარული მომსახურება, უფრო გაბედულად უნდა გადავიდნენ მოზარდეულის ინტენსიურ სუქებაზე, სამრეწველო საფუძველზე მეცხოველეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციისე, თანამიმდევრულად დაინერგოს მეცხოველეობაში პროგრესული ტექნოლოგია. მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კარგად მოვვარებულ სამრცელ მეურნეობას, ამიტომ ამოცანა ის არის, რომ მტკიცედ ავამაღლოთ მინდერების მოსავლიანობა, რათა მეცხოველეობა უზრუნველვყოთ საფურაეე მარცლეულის საჭირო მარაგით.

პლენუმებზე განიხილეს მეურნეობების ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ყველაზე ეფექტიანად გამოყენების საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მიწათსარგებლობის საკითხებს, წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს, სარწყავი ფართობების რაციონალურ გამოყენებას, მიწამოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების და ხარისხის ამაღლების ამოცანებს. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის მნიშვნელოვანი პირობაა ეკონომიური ურთიერთობის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების ინტენსიფიკაციით სოფლის მეურნეობის მშრომელთა მატერიალურ დაინტერესებას. თუ რა სწრაფი ეფექტი შეიძლება მოგვცეს მატერიალური სტიმულირების ახალმა, პროგრესულმა ფორმებმა პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობასთან შეხამებით, ამის მაგალითია აბაშის რაიონი. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა მატერიალური სტიმულირების ახალი ფორმები ინერგება მცხეთის, წყალტუბოსა და ზოგიერთი სხვა რაიონის მეურნეობათა მუშაობის პრაქტიკაშიც.

ვაშენოთ სწრაფად, იაფად და კარგად

პარტიის რაიკომების პლენუმების მუშაობაში დიდი ადგილი დაიკავა სასოფლო მშენებლობის საკითხებმა — მეცხოველეობის კომპლექსების, სარწყავი სისტემების, ხიდების აგების, რაიონული ცენტრებისა და სოფლების კეთილმოწყობის, სკოლების, საცხოვრებელი სახლების, საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის საკითხებმა.

ბოგდანოვკის რაიონული გაზეთის რედაქტორმა მ. სედრაკიანმა, სახალხო კონტროლის ახალქალაქის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ მ. კირაკოსიანმა, ახალციხის რაიონის პამაჯის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანმა ს. პაპიკიანმა და სხვებმა თქვეს, რომ გონივრულად უნდა გამოიყენონ ფულადი ასიგნებანი და საშენი მასალები, დროულად გაიასკენონ ობიექტები საექსპლოატაციოდ. სამწუხაროდ, მშენებლობისათვის გამოყოფილ სახსრებს ხშირად ცოდად ფანდესენენ. არ სრულდება საწარმოო და სხვა ობიექტების ამოქმედების გეგმები. წალკის რაიონში, მაგალითად, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით ათოვისებელი დარჩა 1.300 ათას მანეთზე მეტი. არც წელსაა საქმე უკეთესად.

ახალციხის რაიონში გათვალისწინებულია სამი ათასი სული მსხვილეხეხარქიანი პირუტყვის მოსაშენებელი და გასასქელებელი კომპლექსის, საკვერცხე მიმართულების მეფრინველეობის ფაბრიკის, ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობა და ა. შ.

პარტიის ახალქალაქის რაიკომის პლენუმზე ოპოზიციური იყო გამოთქვენებული რეზერვებსა და იმ შესაძლებლობებზე, რომლებიც რაიონს აქვს. ამაზე, რომ საჭიროა ძირეულად გაუმჯობესდეს მშენებლობის საქმე. კაპიტალური დაბანდების გეგმით გათვალისწინებულია რაიონში აშენდეს სკოლები, საბავშვო ბაღები, სასოფლო კლუბები. ბიბლიოთეკები. საცხოვრებელი სახლები. წყალსადენი და სხვა ობიექტები.

დიდი მნიშვნელობა აქვს ბოგდანოვკის რაიონში დასახული სამშენებლო პროგრამას. აქ უნდა აშენდეს საკოლმეურნეოთა ბოგდანოვკის კომბინატი. მაგრამ მექანიკური ქარხნის მშენებლობა რაიონში უაორესად ნელა წარმოებს. ამ და სხვა ობიექტების მშენებლობა, მოქმედ საწარმოთა გაფართოება და რეკონსტრუქცია უზრუნველყოფენ რაიონის კოლმეურნეობის განმტკიცებას, ავრეთვე მოსახლეობის ნაწილის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სიზონური მიგრაციის აღკვეთას. ასეთივე პროცესები მიმდინარეობს სხვა რაიონებშიც. ამოცანა ის არის, რომ მთის რაიონების დაჩქარებული ეკონომიური განვითარების საფუძველზე უზრუნველვყოთ ადგილობრივი ზრდოვანი რესურსების სრული და რაციონალური გამოყენება.

უმაღლესი მიზანია ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში ფართოდ აისახა პარტიის ეკონომიური პოლიტიკის უმაღლესი მიზნის — ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუჯობესების პრობლემები, კერძოდ, აღინიშნა, რომ განსაკუთრებით იზრდება სასურსათო და სახალხო მოხმარების სამრეწველო საქონლის მწარმოებელი დარგების როლი.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას, ეიანდან საჭიროა თანდათან გავფთანაბროთ რესპუბლიკის ერთ სულ მოსახლეზე საქონელბრუნვის მოცულობა საშუალო-საკავშირო დონეს, მაგრამ წალკის რაიონში საქონელბრუნვა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით კიდევ უფრო ნაკლებია, ვიდრე მთლიანად რესპუბლიკაში, მაგალითად, სამრეწველო და სასურსათო საქონლის გაყიდვა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით აქ შეადგენს საშუალოდ 316 მანეთს წელიწადში, ანუ 8 მანეთით ნაკლებია, ვიდრე მთლიანად რესპუბლიკაში, 34 მანეთით ნაკლები, ვიდრე ბოგდანოვკის რაიონში და 46 მანეთით ნაკლები, ვიდრე ახალციხეში. რაიონის მოსახლეობა არ არის უზრუნველყოფილი ქსოვილების, ტრიკოტაჟის ნაწარმის, ფეხსაცმლის, ფაიფურ-ქაშანურისა და მინის ნაწარმის, აგრეთვე საშენი მასალების ფონდებით.

უკეთ უნდა იყოს დაყენებული აგრეთვე საზოგადოებრივი კვება სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე. აალიან ცუდადაა მუშაობა სასადილოების საქმე წალკის, ბოგდანოვკის, ახალქალაქისა და ახალციხის რაიონებში. ამ სასადილოებში, განსაკუთრებით, როცა გაჩაღებულია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, არ არის ჯეროვანი წესრიგი, სუსტია მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არ არის მრავალფეროვანი კერძები, ხოლო მათი ხარისხი დაბალია.

პასუხსაგები ამოცანები დგას საყოფაცხოვრებო სამსახურის წინაშე. რაიკომების პლენუმებზე მოიყვანეს ასეთი ფაქტები. მაგალითად, წალკის რაიონში, სადაც 50 ათასზე მეტი მცხოვრებია, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში მუშაობს 85 კაცი, რაიონის 40 სოფელში კი მხოლოდ 18 საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტია. მნიშვნელოვნად შემცირდა საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე: 1973 წელს იგი შეადგენდა 1,86 მანეთს, 1970 წლის 3.11 მანეთთან შედარებით. საყოფაცხოვრებო სამსახურის ობიექტები არ არის ახალქალაქის რაიონის 34 სოფელში.

პლენუმის მონაწილეებმა საჭიროდ ცნეს გადაჭრით აამაღლონ ეაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე. მათ აღნიშნეს, რომ ამისათვის საჭიროა პარტიის რაიკომებმა ძირეულად შეცვალონ თავიანთი დამოკიდებულება სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგებისადმი, ბრძოლა გამოუცხადონ მეტად სერიოზულ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს, მუიდველთა ანგარიშში, ზომა-წონაში მოტყუების, სპეკულაციის ფაქტებს. ყველა ეს საკითხი მწვავედ დააყენეს თავიანთ გამოსვლებში ახალქალაქის რაიკოოპკავშირის საზოგადოებრივი კვების გაერთიანების დირექტორმა დ. ბაგრატუნიმ და ბოგდანოვკის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. მარაბიანმა.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს ახალქალაქის, წალკისა და ბოგდანოვკის რაიონებში ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, წალკის რაიონში შტატით გათვალისწინებული 87 ექიმის ნაცვლად მხოლოდ 44 მუშაობს, ბოგდანოვკის რაიონში — 22 ექიმი ნაცვლად 46-ისა. ეს მშრომელთა სამართლიან საყვედურებს იწვევს.

სეზონიური ნაკლოვანებებია განათლების ორგანოების მუშაობაში, რაიონების სკოლებში აკლიათ მასწავლებლები, დაბალ დონეზეა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მეტად სუსტია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ცუდადაა ორგანიზებული მოსახლეობის კულტურული დასვენება. კლუბებისა და ბიბლიოთეკების მუშაობაში საკმარისად არ არის ჩაბმული ადგილობრივი ინტელიგენცია, სუსტადაა განვითარებული მხატვრული თვითმოქმედება. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები საკმარისად არ მუშაობენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობის საკითხებზე. ამაზეც ილაპარაკეს პლენუმის მონაწილეებმა.

ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიის კოლმეურნეობის ტრაქტორისტმა ს. ხმალაძემ ყურადღება მიაქცია მოსახლეობის ცუდ კინომომსახურებას. მან სთხოვა კულტურის მოღვაწეებს ხშირად ეწვიონ ხოლმე სოფლის მშრომელებს.

წარვმართოთ მეურნეობა მეცნიერულ საფუძველზე

პარტიის რაიკომების პლენუმებზე, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დიდი ყურადღება დაეთმო სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფის, მეცნიერულ საფუძველზე მისი გაძლიერის აუცილებლობის საკითხს. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ უნდა გაუმჯობესდეს დაგეგმვა, როგორც სახალხო მეურნეობის მართვის ბირთვი.

სეზონიული ნაკლოვანებები გვაქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვაში. პლენუმების მონაწილეებმა თქვეს, რომ ხშირად პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობას ადგენენ თვითნებურად, კონკრეტული შესაძლებლობებისა და რეზერვების გაუთვალისწინებლად, ჯეროვანი მეცნიერული დასაბუთებისა და ღრმა ეკონომიური ანალიზის გარეშე. სეზონიული ნაკლოვანებანია დამზადების დაგეგმვის სისტემაშიც. ხშირად რაიონების ხელმძღვანელებს არა აქვთ შესაძლებლობა საქმის ინტერესებისათვის გადაანაწილონ დამზადების გეგმები არა მარტო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის, არამედ თვით სახელმწიფო მეურნეობებს შორისაც.

სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის პრობლემებს მიუძღვნა გამოსვლა ბოგდანოვკის რაიონის გონდრიოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა გ. თათეოსიანმა. მან, კერძოდ, აღნიშნა სახელმწიფო მეურნეობათა დაქვემდებარებას მრავალსფეხურიანობა. რაც ხელს გვიშლის მუშაობაში.

თავისთავად მართვის სისტემა, რაგინდ კარგიც უნდა იყოს იგი, ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს საქმის წარმატებას. საბოლოო ანგარიშით ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანებზე, მათ უნარზე, ცოდნაზე, საქმისადმი მათ მიდგომაზე. აგდილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში არიან ხელმძღვანელები, რომლებიც ბეჯითად ეუფლებიან მართვის თანამედროვე მეთოდებს, აქვთ სიახლის გრძნობა, შეუძლიათ იპოვონ სხვადასხვა პრობლემის ყველაზე ეფექტიანი გადაწყვეტის გზები, დაინახონ განვითარების პერსპექტივა. მათ შესახებ ლაპარაკი იყო პლენუმზე. ასეთი ხელმძღვანელების რიცხვს შეგვიძლია მივაკუთვნოთ წალკის რაიონის ბაშქოის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი თ. ზოსიმოვი, ბოგდანოვკის ყველ-კარაქის მეთაური ქარხნის დირექტორი შ. საკაიანი, ახალქალაქის რაიონის სოფელ ბურნაშეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. კოროიანი და ახალციხის რაიონი დაბა ვალეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. კაკაჩიშვილი, რომლებიც გამოვიდნენ პლენუმებზე.

სოციალისტური წარმოების სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, მათ შორის სოფლის მეურნეობის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.

პლენუმზე აღინიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობას მძლავრი მეცნიერული ბაზა აქვს. მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენში ნელა წყდება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის, შრომატევადი საწარმოო პროცესების მექანიზაციის შემდგომი განვითარების მეცნიერული პრობლემები. სოფლის მშრომელთა წინაშე დიდ ვალში არიან მეცნიერები, კონსტრუქტორები, ინჟინრები, რომლებიც მუშაობენ სამთო მიწათმოქმედებისათვის საჭირო მანქანების შექმნის დარგში. ჩვენში არ არის მთის ფერდობებზე სათიბი მანქანები, არა გვაქვს სამფო ტრაქტორები და კომბაინები. ეს, რა თქმა უნდა, უაღრესად საპრბროოტო პრობლემაა ისეთი რაიონებისათვის, როგორიცაა წალკის, ბოგდანოვკის, ახალქალაქისა და ახალციხის რაიონები. ამაზე ილაპარაკა ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ხოკაბაგის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ გ. საკაკიანმა.

